

მშვიდობიანი გზით რევოლუციის განსჯის საუკეთესო მაგალითი

(მესამე გამოცემა)

საერთაშორისო თვალსაზრისით, ისმეთ ფაშამ შეძლო მიეღო ყველაფერი ის, რისთვისაც იბრძოდნენ მუსტაფა ქემალი და მისი ჯარისკაცები ოთხი წლის განმავლობაში. 1923 წლის 23 აგვისტოს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მოახდინა ლომანის ხელშეკრულების რატიფიკაცია. ანტანტის სახელმწიფოებმა დაიწყეს თავიანთი ჯარების გაყვანა თურქეთის ტერიტორიიდან. 1923 წლის 6 ოქტომბერს თურქეთის ჯარები სტამბოლში შევიდნენ.

1923 წლის 13 ოქტომბერს ანკარა თურქეთის დედაქალაქად გამოცხადდა. მოს 8 საათსა და 30 წუთზე თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების დადგენილება, 15 წუთის შემდეგ მუსტაფა ქემალი თურქეთის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს. ეს ამბავი იმავე ღამეს აცნობეს ქვეყანას 101 საარტილერიო სალუტით. 30 ოქტომბერს შედგა რესპუბლიკის პირველი მთავრობა, ისმეთ ფაშას მეთაურობით. რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, სახალიფოს გაუქმების საქითი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. 1924 წლის 3 მარტს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ სახალიფოს გაუქმების შესახებ დადგენილება მიიღო. უკანასკნელმა ხალიფამ აბდულ-მეჯიდმა თურქეთი დატოვა. მასთან ერთად ქვეყნიდან გააძევეს ოსმალეთის სასულთნო დინასტიის ყველა წევრი და მოახდინეს მათი ქონების კონფისკაცია. ამგვარად, საბოლოოდ გაუქმდა ოსმალეთის სულთნის როგორც საერთო, ისე სასულიერო ხელისუფლება. დაიწყო ახალი ერა თურქეთის ისტორიაში.

ქემალისტებმა მოკლე დროში განახორციელეს სამი მნიშვნელოვანი ღონისძიება: მოსპეს სასულთნო, გამოაცხადეს რესპუბლიკა, გააუქმეს სახალიფო და შეუდგნენ ფოდალური გადმონათების ლიკვიდაციას, ეროვნულ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობას, ქვეყნის ეკონომიკიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბურჟუაზიული რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში გადაიზარდა. ეს იყო თურქეთის მშვიდობიანი გზით რევოლუციური გარდაქმნა - ხავერდოვანი რევოლუცია. მსოფლიოს ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რევოლუცია მოხდა პარლამენტის გზით, სისხლისღვრის გარეშე. გავიხსენოთ რა დიდი მსხვერპლი მოჰყვა ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების რევოლუციებს. მართალია, მუსტაფა ქემალი სამხედრო პირი იყო და მას მრავალი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ კონფლიქტის მოსაგვარებლად

ჯერ მშვიდობიანი გზის ირრედა და იარაღს უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდა. სულთნის ხელისუფლების გაუქმების დროს, მან დიდი დიპლომატიური ნიჭი და ტაქტი გამოიჩინა. თურქეთის რევოლუცია იყო ხავერდოვანი, უსისხლო და ამბავი ლომის წილი მიუძღვის მუსტაფა ქემალს. ამიტომ ისტორიაში ამ რევოლუციას ქემალისტურ რევოლუციას უწოდებენ. დიდმა ქემალისტური რევოლუციის მნიშვნელობა აღმოსავლეთის ხალხებისათვის. იგი საუკეთესო მაგალითია აღმოსავლეთის მუსლიმური ქვეყნებისთვის, თუ როგორ შეიძლება მშვიდობიანი გზით რევოლუციის განხორციელება. ამისა და აფრიკის ქვეყნებში დიდი ყურადღებით სწავლობენ ქემალისტური რევოლუციის გამოცდილებას. ამდენად, ქემალისტურ რევოლუციას დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

მიხაილ სვანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.